ოქმი:**ო63. 6324283001**
თარიღი:**09/10/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N12

ქ.სამტრედია 4 ოქტომბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი,ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

- საკრებულოს წევრები -ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მაია ტალაბაძე, ლიზა კრავეიშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე.

- აპარატის საჯარო მოხელეები - ნორა იანიკოვი, ნატო ჯულაყიძე, მაია ღოღობერიძე, ბეჟან გოგია.

მოწვეული სტუმრები:

1. ა.(ა).ი.პ. საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“- ს დირექტორი - ვეფხია სტურუა.

2. ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“-ს დირექტორი - გურამ ხუჭუა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“-ს 2024 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“-ს 2024 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (9) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“-ს 2024 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

ირაკლი მელაშვილი - ანგარიშს წარმოგიდგენთ ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“_ს დირექტორი გურამ ხუჭუა.

გურამ ხუჭუა - მოგახსენებთ, რომ 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 03 ოქტომბრის განმავლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-მ საქმიანობა წარმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვაჟებს შორის, მათ შორის, მოზარდ თაობაში, რაგბის განვითარების ხელშეწყობისა და გაუმჯობესების, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და მისი დამკვიდრების მიზნით.

2021 წელს ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ში დაკომპლექტდა რეგიონალური ლიგის გუნდი.

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-მ მონაწილეობა მიიღო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს რაგბის კავშირი’’-ს ორგანიზებულ 2023-2024 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის.

ა.(ა).ი.პ. ,,საქართველოს რაგბის კავშირი’’-ს ორგანიზებული 2023-2024 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის კალენდარული მატჩების შედეგად, ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი’’-მ რეგიონალური ლიგის დასავლეთ საქართველოს ზონაში დაიკავა პირველი ადგილი.

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი’’-მ 2024 წლის აპრილში მონაწილეობა მიიღო I-ელ ლიგაში გადასასვლელად პლეიოფის მატჩებში.

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი’’ მონაწილეობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს რაგბის კავშირი’’-ს ორგანიზებულ 2024-2025 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის.

ა.(ა.ი.პ.,,რაგბის კლუბი ფენიქსი’’-მ წარმატებით დაიწყო მონაწილეობა ა.(ა).ი.პ. ,,საქართველოს რაგბის კავშირი’’-ს ორგანიზებულ 2024-2025 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის.

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი’’-ში დაკომპლექტდა ასაკობრივი გუნდები, 9 წლიანი, 10 წლიანი, 11 წლიანი, 12 წლიანი, 13 წლიანი, 14 წლიანი და 15 წლიანი

გუნდები.

ა.(ა.)ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ასაკობრივმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს რაგბის კავშირი''-ს მიერ ორგანიზებულ 2023-2024 საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშებაში.

ა.(ა.)ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ასაკობრივი გუნდებს ჰქონდათ წარმატებული შეხვედრები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს რაგბის კავშირი''-ს მიერ ორგანიზებულ 2023-2024 საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშებაში.

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი''-ს ასაკობრივი გუნდები მონაწილეობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს რაგბის კავშირი''-ს ორგანიზებულ 2024-2025 წლების სეზონის საბავშვო საფესტივალო ლიგაში.

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ში ბავშვთა გუნდის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს ერთის მხრივ, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასა და დამკვიდრებას, ხოლო მეორეს მხრივ, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას, რომლებიც ჩაენაცვლებიან ამჟამად რეგიონალური ლიგის გუნდის მოთამაშეებს.

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს როგორც რეგიონალური ლიგის გუნდი, ასევე ასაკობრივი გუნდები ვარჯიშობს ქალაქ სამტრედიაში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე რაგბის სტადიონზე.

ერთი კვირის განმავლობაში გვაქვს ვარჯიშის ხუთი დღე. რეგიონალური ლიგის გუნდის ვარჯიშების გრაფიკი დამოკიდებულია რეგიონალური ლიგის გათამაშების კალენდარზე, ხოლო ასაკობრივი გუნდის ვარჯიშების გრაფიკი დამოკიდებულია საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშების კალენდარზე.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ანგარიში და აზრი გამოთქვეს.

ირაკლი მელაშვილი - მინდა მადლობა გადაგიხადოთ წარმოდგენილი ანგარიშისთვის. გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თქვენი შენიშვნები,თუკი რაიმე პრობლემა გაქვთ, რათა მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, შესაძლებლობის ფარგლებში გავითვალისწინოთ.

გურამ ხუჭუა - ამ ეტაპზე ჩვენი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ არ გვაქვს სტადიონის საფარი. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ირაკლი მელაშვილი - გასაგებია, ჩავინიშნავთ აღნიშნულ პრობლემას, მაგრამ მივესალმებით, თუკი თქვენგანაც იქნება წინ გადადგმული ნაბიჯები. გისურვებთ წარმატებებს.

გურამ ხუჭუა - ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის.

დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადეს ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“-ს ხელმძღვანელს სრულყოფილი ანგარიშისთვის. წინსვლა და წარმატებები უსურვეს მათ.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“-ს 2024 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

ირაკლი მელაშვილი - ანგარიშს წარმოგვიდგენს ა.(ა).ი.პ. საჭიდაო კლუბ ,,ფალავანი“-ს დირექტორი ვეფხია სტურუა.

ვეფხია სტურუა - მოგესალმებით, ვიდრე ანგარიშს წარმოვადგენდე, მინდა ორიოდე სიტყვით გითხრათ, რამდენიმე დღის წინ ჩვენმა რაიონმა აღნიშნა სამტრედიობა. გილოცავთ ყველას. მადლობა თითოეულ თქვენთაგანს, რადგან ღონისძიებას ბოლომდე ესწრებოდით.

წარმოგიდგენთ, ანგარიშს 2024 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით.

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“-ს დირექცია წარმოგიდგენთ 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1ოქტომბრამდე კლუბის მიერ გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიშს. 2023წლის 05დეკემბრის Nგ-63.632335920 განკარგულების შესაბამისად კლუბს დაუმტკიცდა გეგმა 318,80 (ათასი)ლარი სუბსიდია. მათ შორის შრომითი ანაზღაურების 181,00 (ათასი) ლარი, მივლინება ქვეყნის შიგნით 10,00 (ათასი)ლარი, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი 62,00(ათასი). წარმატებულ სპორტსმენთა სტიპენდიის თანხა 27,80(ათასი) ლარი. სხვა დანარჩენი 38,00(ათასი)ლარი. კლუბში ფუნქციონირებს ჭიდაობის 5 სახეობა: თავისუფალი, ბერძნულ/რომაული, ძიუდო, სამბო და ქართული ჭიდაობა,რომელშიც გაწევრიანებულია 295-მდე მოსწავლე-სპორტსმენი, რომელთა საწვრთნელ-აღმზრდელობით საქმიანობას უზრუნველყოფს 17 მწვრთნელ-მასწავლებელი. მათ შორის 6 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. 2024 წლის 1იანვრიდან 1ოქტომბრამდე კლუბში აღზრდილმა სპორტსმენებმა სხვადასხვა რანგის 60 მდე სამხარეო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სახეობების შესაბამისად დაიკავეს სხვადასხვა საპრიზო ადგილები. რომელთა შორის მოპოვებული წარმატებებიდან გამომდინარე კლუბს ჰყავს 12 საქართველოს ნაკრების წევრი. 2024წლის ბოლომდე დაგეგმილია სხვადასხვა რანგის სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა და აღნიშნულ ჩამონათვალს მიღწეული შედეგების შესაბამისად დაემატება წარმატებულ სპორტსმენთა სია, რომლებიც ასახელებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ირაკლი მელაშვილი - პირველ რიგში მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვეფხიას წარმოდგენილი ანგარიშისთვის და მომავალშიც წარმატებები ვუსურვო მათ.

გოჩა არველაძე - ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთერთი წარმატებული ა.(ა).ი.პ.-ია საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“ და ეს რათქმაუნდა ბატონი ვეფხიას დამსახურებაა. მადლობას გიხდით გაწეული მუშაობისათვის. გისურვებთ წინსვლას და წარმატებებს.

ნუგზარ ჯამბურია - მადლობა მობრძანებისათვის. ერთი რამ მინდა გითხრათ, თქვენ ხართ ქართული ჭიდაობის დარგის სპეციალისტი. ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი მოზარდი, შეიძლება უდიდესი სპორტსმენი იყოს, მაგრამ თუ ის კაცად არ ივარგებს და ქართული სული არ ჩავდეთ ამაში, ყველა ფონი სხვა მიმართულებით წავა. ამისათვის კიდევ ერთხელ მადლობა, რომ ამ სულისკვეთებით ზრდით თქვენს აღსაზრდელებს. წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ.

ლიზა კრავეიშვილი - ბატონმა ვეფხიამ თვითონ წარმოადგინა ის წარმატებები რა შედეგებსაც დებს და მადლობა ამისათვის. ამასთანავე მინდა ავღნიშნო, რომ ის არის არაჩვეულებრივი ხელმძღვანელი.

ირაკლი მელაშვილი - გთხოვთ, ორიდე სიტვით გვითხრათ თქვენი პრობლემები. რათა მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გავითვალისწინოთ.

ვეფხია სტურუა - ჩვენი პრობლემა ამ ეტაპზე არის ის, რომ ა.(ა).ი.პ. საჭიდაო

კლუბი ,,ფალავანი“-ს დარბაზებში არ არის მოწყობილი გათბობა-გაგრილების სისტემა სეზონის შესაბამისად. რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი გარემო საწვრთნელი ვარჯიშებისთვის.

ნუგზარ ჯამბურია- რაც თქვენ ახლა ბრძანეთ, დარბაზის აუცილებელი პირობების გასაუმჯობესებლად, ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში, გავითვალისწინებთ აღნიშნულ წინადადებებს მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, რათქმაუნდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და დადებითად შეაფასეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (9) ხმით ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი